

## საქნახშირი

### პრესრელიზი

საქნახშირმა ტყიბულის საფეხბურთო გუნდს „მეშახტე“ ახალი ფორმები შეუძინა

კომპანია „ჯი-აი-ჯი“-ს, კვლავ აგრძელებს სხვადასხვა სოციალური აქტივობების მხარდაჭერას. ჯი-აი-ჯი ჯგუფის გადაწყვეტილებით და დაფინანსებით ტყიბულის ადგილობრივ საფეხბურთო გუნდს „მეშახტე“ ესპანეთში დამზადებული ფორმები შეუძინა და გადასცა. გუნდმა საქართველოს ჩემპიონატის მეორე ლიგის შეხვედრაში მორიგი მატჩი გამართა, სადაც ახალი ფორმით იასპარეზა.

„საქნახშირი ჯი-აი-ჯი“ ჯგუფი როგორც სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანია წლებია რაც მეურვეობას უწევს ტყიბულის ადგილობრივ საფეხბურთო გუნდს. 2012 წელს „საქნახშირი ჯი-აი-ჯი ჯგუფმა „ ადგილობრივ საწვრთნელ ბაზაზე სარემონტო სამუშაოები დააფინანსა , რის შედეგადაც გუნდის საწვრთნელი და საყოფაცხოვრებო პირობები გაუმჯობესდა და თანამედროვე სტანდარტებს შეესაბამება . 2011 წლის განმავლობაში კი კომპანია საფეხბურთო გუნდის თითოეულ წევრს ხუთი ათასი ლარით აფინანსებდა .

07.03.2014

შპს "საქნახშირი ჯი-აი-ჯი" დაარსდა 2006 წლის აპრილში. მისი დამფუძნებელია „ჯი-აი-ჯი“. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ქვანახშირის მოპოვებითი სამუშაოები და შემდგომი გამდიდრება. დღესდღეობით საქნახშირი საქართველოში ქვანახშირის აქტივების ძირითადი მფლობელი და ერთადერთი მომპოვებელი კომპანიაა. კომპანიის ძირითად აქტივებს წარმოადგენს მიმიგურის და მინდელის სახელობის მადაროები, რომლებიც მდებარეობს ტყიბული-შაორის საზადოების ტერიტორიაზე.

